


დამტკიცებულია

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების
პარტია „საქართველო“-ს
2016 წლის 19 მარტის
დამფუძნებელი ყრილობის მიერ

რეგისტრირებულია

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
2016 წლის 30 მაისის
N 77677 გადაწყვეტილებით



მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - პარტია

„საქართველო“

წესდება

თავი 1. ზოგადი დებულებები

1.1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - პარტია „საქართველო“ შემდგომში - პარტია, არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი საქართველოს მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

1.2. პარტიის სრული სახელწოდებაა:

- ქართულ ენაზე: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - პარტია „საქართველო“
- ასომთავრული დამწერლობით: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების საქართველოს ორგანიზაცია „საქართველო“
- ინგლისურ ენაზე: Citizens Political Union - party „SAKARTVELO“
- რუსულ ენაზე: Политическое объединение граждан - партия „САКАРТВЕЛО“

1.3. პარტია არის საჯარო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი.

1.4. პარტიის საქმიანობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

1.5. პარტიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დოლიძის ქ. 22 კორპუსი, ბინა 38.

თავი 2. პარტიის მიზნები (ამოცანები)

2.1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - პარტია „საქართველო“ წარმოადგენს ცენტრისტული მიმართულების პარტიას.

2.2. პარტიის მიზნებია (ამოცანებია) კანონით დადგენილი წესით ხელი შეუწყოს:

- იბერიულ-კავკასიური ერთიანობის იდეის აღორძინებას საქართველოში;
- ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, სოციალურ-სამართლებრივ, ტრადიციულ-ეროვნულ ღირებულებათა ზოგადსაკაცობრიო მცნებებთან შეთანადებით დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას;
- გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ხელისუფლების ფორმირებას, ეფექტიანი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას;
- ქვეყნის ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის მუდმივ ქმედებას;
- ქვეყნის თვითმყოფადობის და უსაფრთხოების განმტკიცებას;
- საქართველოსთვის ტრადიციულად კუთვნილი ღირსეული ადგილის დამკვიდრებას საერთაშორისო თანამეგობრობაში;
- თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემებისა და ტექნოლოგიების დანერგვას;
- ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განუხრელ დაცვას;
- ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას, თანასწორ პარტნიორულ საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებას, თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებას, ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებას;
- საზოგადოების ყველა ფენის სოციალურ დაცვას, თანამედროვე ჯანდაცვის სისტემების შექმნას და დანერგვას;
- ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სამრეწველო სისტემების აღდგენასა და განვითარებას;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და უკომპრომისო ბრძოლას უკანონობის წინააღმდეგ.

2.3. აღნიშნული მიზნების (ამოცანების) მისაღწევად პარტია ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, მოქმედ კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და ზოგადსაკაცობრიო მორალისა და სამართლიანობის პრინციპებს, იყენებს პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის კანონით დაშვებულ საქმიანობის ფორმებს.

თავი 3. პარტიის წევრობა

3.1. პარტიის წევრი შეიძლება იყოს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც იზიარებს პარტიის მიზნებს (ამოცანებს) და იცავს ამწესდებით დადგენილ მოთხოვნებს.

3.2. პარტიის წევრად მიღების საფუძველია პარტიის წევრობის მსურველის პირადი წერილობითი განცხადება.

3.3. პარტიის წევრობის მსურველის პირად წერილობითი განცხადებას შესაბამისი რაიონული (საქალაქო) ორგანიზაციის წარდგინებით განიხილავს და პარტიის წევრად მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტიის პოლიტიკური კომიტეტი განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

3.4. პარტიის წევრობიდან გასვლა თავისუფალია. პარტიის წევრს უფლება აქვს წერილობითი განცხადების საფუძველზე გავიდეს პარტიის წევრობიდან, რომელსაც პარტიის პოლიტიკური კომიტეტი აკმაყოფილებს.

3.5. პარტიის წევრისათვის ამ სტატუსის ჩამორთმევა (პარტიიდან გარიცხვა) შეუძლია პოლიტიკურ კომიტეტს სიითი შემადგენლობის ხმათა 2/3-ით თუ:

- იგი ზედიზედ, 4 თვის განმავლობაში არ იხდის საწევრო შენატანს და აღარ მონაწილეობს პარტიის საქმიანობაში;
- მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება პარტიის მიზნებს (ამოცანებს), წესდებასა და პროგრამას.

3.6. პარტიის წევრობის შეწყვეტის საფუძველია ასევე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევები.

3.7. პარტიის წევრს უფლება აქვს:

- აირჩიოს და არჩეული ქნეს პარტიის ხელმძღვანელ, აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებში;
- თანასწორ საფუძველზე მონაწილეობდეს პარტიის ყრილობის მუშაობაში, ასევე პარტიის ეგიდით ჩატარებულ ღონისძიებებში;
- მიიღოს ინფორმაცია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან მათი საქმიანობის შესახებ;
- ისარგებლოს პარტიის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით პარტიის მიზნების განსახორციელებლად;
- ატაროს პარტიის ემბლემა.

3.8. პარტიის წევრი მოვალეა:

- დაიცვას პარტიის წესდება;
- დროულად გადაიხადოს საწევრო შესატანი;
- თავის საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელოს პარტიის მიზნებითა და პროგრამით;
- აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარტიის საქმიანობაში, შეასრულოს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები;
- გაუფრთხილდეს პარტიის ღირსებასა და ავტორიტეტს.

თავი 4. პარტიის მართვა

4.1. პარტიას გააჩნია მართვის ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოები:

ა) პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი ორგანოა პარტიის ყრილობა;

ბ) პარტიის ხელმძღვანელი თანამდებობის პირია პარტიის თავმჯდომარე;

კ) ყრილობებს შორის პერიოდში პარტიის აღმასრულებელი ორგანოა პოლიტიკური კომიტეტი;

დ) პარტიის მაკონტროლებელი ორგანოა სარევიზიო კომისია.

4.2. პარტიის ხელმძღვანელ, აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებში არჩეული პირების პარტიის წევრობის შეწყვეტა ავტომატურად იწვევს ამ ორგანოებში მათი წევრობის სტატუსის გაუქმებას.

4.3. პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი ორგანოა ყრილობა. პარტიის რიგითი ყრილობა ტარდება არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ, ოთხწლიანი მოწვევის ციკლის ბოლოს.

4.4. პარტიის რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობა შეიძლება მოწვეულ იქნეს პარტიის თავმჯდომარის მიერ, პარტიის პოლიტიკური კომიტეტის, სარევიზიო კომისიის ან პარტიის წევრთა 1/3-ის წერილობითი მოთხოვნით.

4.5. ყრილობის მონაწილეთა რაოდენობასა და კვოტებს, ასევე წარმომადგენლების (დელეგატების) არჩევის წესს განსაზღვრავს პარტიის პოლიტიკური კომიტეტი. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პარტიის წევრთა ან წარმომადგენელთა (დელეგატთა) 2/3 მაინც. ყრილობაზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა ან წარმომადგენელთა (დელეგატთა) ნახევარზე მეტი.

4.6. ყრილობის მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ყრილობის თავმჯდომარე და მდივანი.

4.7. პარტიის ყრილობის კომპეტენციას განეკუთვნება:

- პარტიის წესდების მიღება, მასში ცვლილებების შეტანა, რის შესახებაც კანონით დადგენილ ვადაში ეცნობება მარეგისტრირებელ ორგანოს და წარედგინება შესაბამისი დოკუმენტები;
- პარტიის პროგრამის, რეზოლიუციების, მიმართვების მიღება, პარტიის მოქმედების სტრატეგიის განსაზღვრა;
- 4 წლის უფლებამოსილების ვადით პარტიის თავმჯდომარის, პოლიტიკური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევა (ან ვადაზე ადრე დათხოვნა/გათავისუფლება);
- პარტიის თავმჯდომარის, პოლიტიკური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა;
- პარტიის რეორგანიზაციისა და თვით ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

4.8. პარტიის მთელ საქმიანობას ხელმძღვანელობს და წარმართავს პარტიის თავმჯდომარე (იგივე პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარე), რომელიც:

- ერთპიროვნულად წარმოადგენს პარტიას იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, არის პარტიის ზოგად და სპეციალურ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;
- წარმართავს პარტიის საქმიანობას საწესდებო მიზნებისა და ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესასრულებლად;
- ხელსაწერს პარტიის ოფიციალურ დოკუმენტებს;

- მართავს პარტიის ფინანსურ სახსრებს და სხვა მატერიალურ ქონებას, პასუხისმგებელია მის სწორ გამოყენებაზე;
- თანამდებობრივად შედის პოლიტიკურ კომიტეტის შემადგენლობაში და ხელმძღვანელობს მას;
- ამტკიცებს პარტიის შინაგანაწესს;
- უფლებამოსილია გასცეს მინდობილობა მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით;
- იღებს გადაწყვეტილებას პარტიის რიგგარეშე/საგანგებო ყრილობის მოწვევის თაობაზე;
- იღებს გადაწყვეტილებას პარტიის სათათბირო-საკონსულტაციო ორგანოს - მრჩეველთა საბჭოს (გენერალური საბჭოს) შექმნისა და გაუქმების შესახებ.
- ნიშნავს და ათავისუფლებს პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების - რაიონული (საქალაქო), ახალგაზრდული, ქალთა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.
- ყრილობას წარუდგენს პარტიის წესდებაში შესატან პირადად ინიცირებული ცვლილებების პროექტს დასამტკიცებლად.

4.9. გარემოებათა გამო თავმჯდომარის ვადაზე ადრე გადადგომის შემთხვევაში, პოლიტიკური კომიტეტი დაუყოვნებლივ იწვევს რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობას, რომელიც ირჩევს ახალ თავმჯდომარეს. თავმჯდომარის მიერ დროებით მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს მისივე დავალებით ასრულებს პოლიტიკური კომიტეტის ერთ-ერთი წევრი. პარტიის თავმჯდომარის გაწვევა, უფლებამოსილების გადამეტების, მოვალეობის შეუსრულებლობის ან საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო ქცევისათვის შეუძლია მხოლოდ პარტიის ყრილობას.

4.10. პარტიის აღმასრულებელ ორგანოს - პოლიტიკური კომიტეტს ირჩევს პარტიის ყრილობა არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით 4 წლის ვადით.

4.11. პოლიტიკური კომიტეტის რიგითი სხდომა ტარდება თვეში ერთხელ მაინც. საჭიროებისამებრ, პარტიის თავმჯდომარის განკარგულებით, შეიძლება მოწვეულ იქნეს პოლიტიკური კომიტეტის რიგგარეშე/საგანგებო სხდომა. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პოლიტიკური კომიტეტის წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია პარტიის თავმჯდომარის (იგივე პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარის) ხმა.

4.12. პოლიტიკური კომიტეტი:

- უზრუნველყოფს ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას;
- სიითი შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით წყვეტს პარტიის წევრად მიღებისა და პარტიის წევრის სტატუსის ჩამორთმევის (პარტიიდან გარიცხვის) საკითხებს;
- განსაზღვრავს საწევროების გადახდის წესსა და ოდენობას;
- თავისი საქმიანობის ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით პარტიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ქმნის ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურს - სამდივნოს;
- უზრუნველყოფს ყრილობის მომზადებისა და ჩატარების ორგანიზებას;
- განსაზღვრავს ყრილობის მონაწილეთა რაოდენობასა და კვოტებს, ასევე წარმომადგენლების (დელეგატების) არჩევის წესს.

- იღებს გადაწყვეტილებას პარტიის რიგგარეშე/საგანგებო ყრილობის მოწვევის თაობაზე;
- იღებს გადაწყვეტილებას პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების - რაიონული (საქალაქო), ახალგაზრდული, ქალთა და სხვა ორგანიზაციების შექმნისა და გაუქმების შესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს;
- პარტიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს პარტიის საწესდებო მიზნებისა და პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებების გასატარებლად;
- იღებს გადაწყვეტილებებს პარტიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა სხვა მიმდინარე საკითხებზე, რაც წარმოიშობა ყრილობებს შორის პერიოდში და რაც სხვა ორგანოთა სპეციალურ კომპეტენციას არ განეკუთვნება.

4.13. პარტიის პოლიტიკური კომიტეტისა და თავმჯდომარის საქმიანობის ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით პარტიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, პოლიტიკური კომიტეტის მიერ იქმნება ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური - სამდივნო.

4.14. სამდივნო თავის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს ანალიტიკური, საინფორმაციო, ბეჭდვითი, საორგანიზაციო, საპროცედურო, საკოორდინაციო და სხვა მიმართულებებით თავმჯდომარისა და პოლიტიკური კომიტეტის დავალებების შესაბამისად.

4.15. სამდივნოს საშტატო შემადგენლობა მტკიცდება პოლიტიკური კომიტეტის მიერ პარტიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

4.16. პარტიის ფინანსური სახსრებისა და სხვა ქონების კონტროლის მიზნით იქმნება მაკონტროლებელი ორგანო - სარევიზიო კომისია.

4.17. სარევიზიო კომისიას 4 წლის ვადით, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით, ირჩევს ყრილობა.

4.18. სარევიზიო კომისიის წევრები თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს.

4.19. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი პარტიის ფინანსური სახსრებისა და სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე.

4.20. სარევიზიო კომისია 3 თვეში ერთხელ ატარებს პარტიის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების რევიზიას და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციას და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე წარდგინებით შედის პარტიის თავმჯდომარესთან.

4.21. სარევიზიო კომისიის სხდომები მოიწვევა 3 თვეში ერთხელ. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4.22. სარევიზიო კომისიის წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს პარტიის სხვა ორგანოს წევრი.

4.23. პარტიაში თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას საკონსულტაციო ორგანო - მრჩეველთა საბჭო (გენერალური საბჭო).

4.24. მრჩეველთა საბჭო (გენერალური საბჭო) წარმოადგენს პარტიის სათათბირო-საკონსულტაციო ორგანოს, რომლის შემადგენლობაში თავმჯდომარის გადაწყვეტილებით

მოიწვევიან საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები, სპეციალისტები, ექსპერტები, რომლებიც შეიძლება იყვნენ პარტიის არაწევრი პირებიც.

4.25. მრჩეველთა საბჭოს (გენერალურ საბჭოს) სხდომები მოიწვევა თავმჯდომარის ან პოლიტიკური კომიტეტის ინიციატივით საჭიროებისამებრ პარტიის წინაშე წარმოშობილი აქტუალური საკითხების თაობაზე მსჯელობისა და გადაწყვეტილებების მისაღებად.

4.26. პარტიის თავმჯდომარე და პოლიტიკური კომიტეტი პარტიის მომავალ გეგმებზე და სტრატეგიაზე მართავენ რჩევით კონსულტაციებს მრჩეველთა საბჭოსთან (გენერალურ საბჭოსთან).

4.27. მრჩეველთა საბჭოს (გენერალური საბჭოს) გადაწყვეტილებები არ არის სავალდებულო შესასრულებლად. მათ გააჩნიათ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი.

4.28. მრჩეველთა საბჭოს (გენერალური საბჭოს) წერილობით რეკომენდაციებს ხელს აწერს მრჩეველთა საბჭოს სახელით მრჩეველთა საბჭოს (გენერალური საბჭოს) თავმჯდომარე, რომელსაც მრჩეველთა საბჭო (გენერალური საბჭო) ირჩევს თავისი შემადგენლობიდან.

თავი 5. სტრუქტურული ქვედანაყოფები

5.1. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფები რაიონული (საქალაქო), ახალგაზრდული, ქალთა და ა.შ. ორგანიზაციები იქმნება ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პრინციპის გათვალისწინებით. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფები არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

5.3. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტიის პოლიტიკური კომიტეტი.

5.4. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფი თავის საქმიანობას წარმართავს ამ წესდების ფარგლებში პოლიტიკური კომიტეტის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

5.5. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფი ვალდებულია საქმიანობა წარმართოს თავისი უფლებამოსილების, მოვალეობისა და პარტიის პოლიტიკური კურსის შესაბამისად. იგი ვალდებულია შეასრულოს ზემდგომი პარტიული ორგანოს ყოველი მართლზომიერი დავალება.

თავი 6. პარტიის ქონება და სახსრები

6.1. პარტიის ქონებისა და სახსრების ფორმირების წყაროებია:

- ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოწირულობანი;
- საწევრო შენატანები;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობით, მათ შორის, პარტიის სიმბოლიკის გავრცელებით, პარტიის მიერ ლექციების, სემინარების და სხვა საჯარო ღონისძიებების მოწყობით მიღებული შემოსავალი;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები და სხვა შემოსავლები.

6.2. პარტიის საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს უძრავ-მოძრავი ქონება, მატერიალური და არამატერიალური აქტივები, რომელიც საჭიროა წესდებით გათვალისწინებული აქტივობის განსახორციელებლად.

6.3. პარტიის ქონებისა და სახსრების ფორმირება და მისი განკარგვა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

6.4. პარტიის ქონების განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მხოლოდ პარტიის მიზნებისთვის და მისი გამოყენება სხვა მიზნით ან განაწილება პარტიის წევრებს შორის დაუშვებელია.

თავი 7. პარტიის სიმბოლიკა

7.1. პარტიას გააჩნია ემბლემა (ლოგო), დროშა, ჰიმნი, სატიტულო ფურცელი (ბლანკი) და ბეჭედი.

7.2. პარტიის ოფიციალური წერილობითი დოკუმენტები სავალდებულო წესით სრულდება ტიტულიან ფურცელზე (ბლანკზე) და დაესმება ბეჭედი.

7.3. პარტიის დროშის, ემბლემის (ლოგოს) და ჰიმნის გამოყენების კონკრეტულ წესსა და პირობებს განსაზღვრავს პარტიის თავმჯდომარე, ასევე პარტიის პოლიტიკური კომიტეტი თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

7.4. პარტიის ემბლემის (ლოგოს) აღწერილობა შემდეგნაირია:

ემბლემა (ლოგო) გადაწყვეტილია 7 ფერში: შინდისფერი, ცისფერი, თეთრი, შავი, რუხი, ოქროსფერი და მწვანე, კერძოდ: ოქროსფერი მზის სხივებით გასხივოსნებულ მზის ფონზე ქართული ორნამენტებით შევსებული შინდისფერი შვიდქიმიანი ვარსკვლავის ცენტრში მოთავსებულია ერთმანეთისაგან შავი და შინდისფერი კონტურებით გამოყოფილი ორი წრე, რომლის გარეთა წრის ზედა ნაწილში ოქროსფერ ფონზე წრიულად შავ ფერში გამოსახულია პარტიის საკუთარი სახელი ასომთავრული დამწერლობით: „სტ+ტბტჩჩნ“, ქვედა ნაწილში ასევე წრიულად განთავსებულია მუხის მწვანე ფოთლების გვირგვინი. შიდა წრეში ცისფერ ფონზე გამოსახულია შავ კონტურებიანი ოქროსფერი გრიფონი, რომელსაც უკავია ძალაუფლების სიმბოლო - გამჭვირვალე სფერო, სფეროში აირეკლება საქართველოს რუკის ოქროსფერი კონტური. გრიფონი მტკიცედ დგას ერთიანი საქართველოს სიმბოლოდ. დედაბოძე, რომელიც შესრულებულია რუხ ფერში.

7.5. პარტიის დროშის აღწერილობა შემდეგნაირია:

პარტიის დროშის ფორმა მართკუთხედიანია, რომლის სიგრძის და სიგანის ფარდობითი პროპორცია შესაბამისად არის 2 X 3.

დროშის ფერებია:

ჰორიზონტალურად სიმეტრიულად დროშის მთელ პერიმეტრზე განთავსებული თანაბარი ზომის ერთმანეთის პარალელური შინდისფერი და თერი ზოლები შემდეგი პროპორციებით: დროშის 4/7 თეთრი, ხოლო 3/7 შინდისფერი. დროშის ცენტრში განთავსებულია პარტიის ემბლემა /ლოგო/.

7.6. პარტიის ბეჭედი არის მრგვალი ფორმის, რომლის გარეთა წრეში მოთავსებულია პარტიის სრული სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - პარტია „საქართველო“, CITIZENS POLITICAL UNION - PARTY "SAKARTVELO")

და საიდენტიფიკაციო კოდი, ხოლო შიდა წრეში განთავსებულია პარტიის ემბლემის ცენტრალური ნაწილი, კონტურებით გამოყოფილი ორი წრე, რომლის გარეთა წრის ზედა ნაწილში წრიულად გამოსახულია პარტიის საკუთარი სახელი ასომთავრული დამწერლობით: „სტ+ტაძ+ქ+ქ+ქ“, ქვედა ნაწილში ასევე წრიულად განთავსებულია მუხის ფოთლების გვირგვინი. შიდა წრეში გამოსახულია კონტურებიანი გრიფონი, რომელსაც უკავია ძალაუფლების სიმბოლო – გამჭვირვალე სფერო, სფეროში აირეკლება საქართველოს რუკის კონტური. გრიფონი მტკიცედ დგას ერთიანი საქართველოს სიმბოლო დედაბოძზე. ბეჭედი გამოიყენება ლურჯი, წითელი ან შავი მელნის ფერებით.

7.7. პარტიის სატიტულო ფურცელი (ბლანკი) წარმოადგენს A4 ტიპის ქაღალდის ფურცელს, რომლის ზედა ნაწილში ცენტრში გამოსახულია პარტიის ემბლემა. ემბლემის გასწვრივ ფურცლის მარცხენა ნაწილში დატანილია შინდისფერ ფერში შესრულებული პარტიის სრული სახელწოდება ქართულ ენაზე (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - პარტია „საქართველო“), ხოლო მარჯვნივ - ინგლისურ ენაზე (CITIZENS POLITICAL UNION - PARTY "SAKARTVELO") სახელწოდებისა და ემბლემის ქვეშ ჰორიზონტალურად გავლებული შინდისფერი და ლურჯი გამყოფი ხაზის ქვეშ მარჯვნივ ქართულ და მარცხნივ ინგლისურ ენებზე ლურჯ ფერში მითითებულია პარტიის იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომრები და ელ.ფოსტის მისამართი. აღნიშნული რეკვიზიტების ქვეშ ჰორიზონტალურად გავლებული ლურჯი და შინდისფერი გამყოფი ხაზის ქვეშ მარჯვნივ დატანილია ნომრის, ხოლო მარცხნივ თარიღის აღმნიშვნელი სიმბოლოები შავ ფერში.

7.8. პარტიის ჰიმნია:

„გამარჯვება, გამარჯვება/არის მიზანი,/ჩემო ტკბილო სამშობლო/ხატი ხარ საფიცარი./ვასახელებთ საქართველოს,/გვლოცავს უფალი,/დაილოცოს სამშობლო,/ერი თავისუფალი“. (ტექსტის სათაური: „გამარჯვება“, მუსიკა და ტექსტი: ნუგზარ თუშიშვილის)

თავი 8. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

8.1. წესდებაში ცვლილებების ინიცირების უფლება აქვთ პარტიის თავმჯდომარეს, პოლიტიკურ კომიტეტს, სარევიზიო კომისიას ან პარტიის წევრთა 1/3-ს.

8.2. პარტიის წესდებაში ცვლილებების შეტანა/დამტკიცება ხდება ყრილობის გადაწყვეტილებით, რომელიც სავალდებულოა სარეგისტრაციოდ კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3. პარტია ვალდებულია წესდებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში 10 დღის ვადაში აცნობოს ამის თაობაზე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები.

8.4. პარტიის წესდებაში შეტანილი ცვლილების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ ამ ცვლილების კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ.

9. პარტიის საქმიანობის შეწყვეტა

- 9.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პარტიის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს პარტიის აკრძალვის, რეორგანიზაციის (შერწყმა, შეერთება, გაყოფა) ან თვითლიკვიდაციის საფუძველზე.
- 9.2. პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
- 9.3. გადაწყვეტილებას პარტიის რეორგანიზაციის შესახებ იღებს მხოლოდ პარტიის ყრილობა.
- 9.4. რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი პარტიის (პარტიების) რეგისტრაცია ხდება კანონით დადგენილი წესით.
- 9.5. პარტია უფლებამოსილია მოახდინოს თვითლიკვიდაცია ამ წესდებით დადგენილი საფუძველით (ყრილობის გადაწყვეტილებით). თვითლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ პარტიის ყრილობა.
- 9.6. პარტიის საქმიანობის შეწყვეტა იწვევს მისი ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფისა და ორგანოს საქმიანობის შეწყვეტას.
- 9.7. სხვა პარტიასთან შერწყმის, შეერთების შემთხვევაში პარტიის ქონება გადაეცემა შესაბამის პარტიას. პარტიის გაყოფის შემთხვევაში ქონების განაწილების საკითხსა და წესს განსაზღვრავს პარტიის ყრილობა.
- 9.8. პარტიის თვითლიკვიდაციის შემთხვევაში ყრილობა ქმნის სალიკვიდაციო კომისიას, რომელიც ახორციელებს სალიკვიდაციო პროცესს.
- 9.9. პარტიის აკრძალვის ან თვითლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა სახელმწიფო ხაზინას.